ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44. 44233332**

თარიღი:**29/11/2023**

ახალი წლის ღამეს ქ. ქუთაისში გალაკონცერტის გამართვის შესახებ

ახალი წლის ღამეს /31 დეკემბერი-1 იანვარი/ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება საახალწლო გალაკონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ ადგილობრივი და მოწვეული ინდივიდუალური შემსრულებლები და მუსიკალური ჯგუფები: ინდირა ჯგერნაია, PAJO (ნიკა ბიწაძე), Jason De Leone (გიორგი ნოზაძე), ჯგუფი ,,ოჩოს ქოხი“, ანსამბლი ,,ჩვენი კვარტეტი“, ჯგუფი ,,ANIK“, ანსამბლი ,,ჰერიო“, დიჯეი ZAPA (ზაზა ფანჩულიძე).

აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისთვის საჭირო თანხა შეადგენს 47550 /ორმოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაათი/ ლარს, რომელიც მიზანშეწონილია გამოიყოს 2024 წლის ბიუჯეტში კულტურის პროგრამის ქვეპუნქტიდან ,,საახალწლო ღონისძიებები“.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, პირველი პუნქტის ,,ე.ე.“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2024 წლის კულტურის ღონისძიებების პროგრამიდან ,,საახალწლო ღონისძიებები“ ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადმა სტრუქტურულმა ერთეულმა საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურმა /დ.ნიშნიანიძე/ უზრუნველყოს 47550 /ორმოცდაშვიდი ათას ხუთას ორმოცდაათი/ ლარზე სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით შესყიდვების პროცედურების განხორციელება, კერძოდ: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის შესაბამისი მიმართვის გაგზავნა და მათი თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულებების გაფორმება შემსრულებლებთან, როგორც ექსკლუზიურ მომწოდებლებთან წარმოდგენილი დანართის მიხედვით.

2. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილებამ განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შეგროვება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს მერის პირველმა მოადგილემ დავით ერემეიშვილმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი